საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-134
2024 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 5 აპრილის №01-82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 5 აპრილის №01-82 ბრძანებაში (ვებგვერდი, 10/04/2018; სარეგისტრაციო კოდი 480040000.22.030.016176) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას მე-20 პუნქტის შემდეგ დაემატოს 20^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„20^1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დადგინდეს ამ ბრძანების მე-20 პუნქტისგან განსხვავებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომლის მიხედვით დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის როტაციის წესით მივლინებამდე, „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანების მე-18 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის, როტაციის წესით გრძელვადიანი სამუშაო მივლინებისა და ნორმატიული ატების შესაბამისად გასაწევი ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობრივი მაჩვენებლების შესაბამისად.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი**